| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საბუღალტრო და საგადასახადო საქმე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში | საბუღალტრო და საგადასახადო საქმე საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (165 კრედიტი სავალდებულო და 15 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის მიმართულებით კადრების მომზადება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. |
| სწავლის შედეგები<br><br>**(ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)** | **ფართო ცოდნა** ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვის, კომერციული ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და საჯარო სამართლის სუბიექტებში ბუღალტრული აღრიცხვის, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.<br>**სისტემური ცოდნა,** ფინანსების მართვის ინსტრუმენტების, ფინანსური დაგეგმვისა და ფინანსური რისკების მართვის მექა-ნიზმების შესახებ. პირველადი სამმართველო დოკუმენტების გაფორმებისა და დანახარჯების მართვის სისტემების შესახებ.<br>**ფართო ცოდნა** საგადასახადო საქმის საფუძვლების, გადასახადების დანიშნულების, სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისა და საგადასახადო სფეროში არსებული საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესახებ. საბაჟო საქმიანობის საფუძვლების შესახებ. |
| შეფასების წესი | **სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:**<br><br>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.<br><br>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი-სრული პროფესორი ვაჟა ვერულიძე, საკონტაქტო ინფორმაცია: 577 95 64 78, verulidze@mail.ru |